საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 29 ივლისი 2015 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/01

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების
დამატებით დაწესების შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 15 ივლისის №7 ოქმისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 13 ივლისის №9 ოქმის საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დაწესდეს ცნობილი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის სახელობის საფაკულტეტო სტიპენდია სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე.

2. დაწესდეს ცნობილი ქართველი კინოდრამატურგის სულიკო ჟღენტის სახელობის საფაკულტეტო სტიპენდია განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

3. სულიკო ჟღენტისა და დავით კაკაბაძის სახელობითი სტიპენდიების ოდენობა განისაზღვროს თვეში 100(ასი) ლარის ოდენობით.

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერი **თ. მეიშვილი**